წელიწადი 1913 მესამე

ორშაბათი, 16 სექტემბერი № 141

# თემი

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

**თითო ნომერი 5 კაპ.**

**განცხადებათა ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მ.ნ.

ორშაბათი 16 სექტემბერი № 141

**ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.**

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარ და 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში **Ольгинская, 4 д. Діасамидзе** ხ. ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარ და

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

13 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა;

## მიხეილ პეტრეს ძე იპარლიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები განსვენებულისა **იაკობი მეუღლითა და შვილებით, რაფაელი, გაბრიელი და კონსტანტინე შვილით.** გამოსვენება სადგომიდან (ანდრეევის ქუჩა, 20) **16 სექტემბერს** დილის 10 საათზედ რომის კათოლიკეთა წმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში; დასაფლავება კათოლიკეთა ძველ სასაფლაოზე სოლოლაკში,

## ქართული თეატრი

**ტელეფონი № 795.** **წარმოდგენა № 2**

**ხუთშაბათს 19 სექტემბერს 1913 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

**ქ. ნ..ნო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:**

ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა

## ციცინათელა

დრამა 4 მოქმ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი. დავითაშვილი, შოთაძე, ჩხეიძე. ბ-ნნი ბერიშვილი, გუნია, იმედაშვილი, ბარველი, ჟივიძე, სარაული, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი, ხონელი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე**

რეჟისორი **მ. ქორელი.**

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად ოიდიპოს მეფე, ინსტინქტი, კულტურული მკვლელობა, ლაბირინტი და სხვა.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

## ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე 3—5 ს. და 9—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის ვ. ფაუსტინის ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის კონევსკის და ვიოლონჩელზე დამკვრელის სტეფანჩაკის მონაწილეობით.

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

### რესტორანი

ნ. ჯინჭარაძის ხელმძღვანელობით

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვ სა და პასტერის ქ. ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული.

**ფასები ზომიერი,**

სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰაერი.

ტელეფ. № 14—66.

25—8

## საყოველთაო ცნობა.

მომავალ სეზონისათვის

## შემოდგომა და ზამთარი

პ. ს. დოროჟინოვის

მთავარ მაღაზიაში

**სოლოლაკის ქ სახლი გურგენოვისა № 2 ტელეფ. № 583.**

მიღებულია სულ უკანასკნელი ახალ-ახალი სავაჭრო: აბრეშუმეულობა, მატყლეულობა, ტრიკო, დრაპი და მაუდი; სხვა და სხვა ფერის ბამბეულობა, ქსოვილები; სასადილო საცვლები, ტილო და ხელის ქსოვილები; საცვლები მამაკაცთა და მანდილოსანთათვის; წინდები, ჩულქები, ტრიკოტაჟი მატყლეულობიდან; სამებულო სტილის მინამსგავსი ქსოვილები და პლიუში; ტიულის ფარდები, პორტიერები და შტორები; ხალიჩები, გრძელი და ვიწრო ხალები, მატები; თბილი საბნები, ცხვირსახოცები და პლედები.

**სავაჭრო ახალ-ახალია, საუცხოო, ლამაზი და იაფი.**

**ტილოს, მაუდის, რავენდუკის და სხვა საწყობი**

მიიღება დაკვეთა სამკურნალოებისათვის, ლაზარეთებისათვის და სხვა სახაზინო და კერძო დაწესებულებისათვის.

## ახალი კლუბი საზაფხულო სადგომი

**პარასკევს 20 სექტემბერს 1913 წ.**

## საზანდარი

**ჩვეულებრივ**

**სინემატოგრაფიული სურათები**

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მყოფი

## სამუსიკო სკოლა ლეონ პიშნოვისა და ადოლფ შვეიგერისა.

**პეტრე დიდის ქუჩა, 16.**

2 ენკენისთვეს გაიხსნება შემდეგი კლასები: ფორტეპიანოსი (უმცროსი, საშუალო, და უფროსი კურსები), კომპოზიციის თეორიისა (ელემანტარულ თეორიის, ჰარმონიის, სოლფეჯიოს), მუსიკის ისტორიის და ესთეტიკისა.

თეორიის და უმცროს კურსის ფორტეპიანოს მასწავლებლად მოწვეულია თავისუფალი მხატვარი **ლ. ლ. ლისოვსკი.**

თხოვნა მიიღება ყოველდღე, უქმეების გარდა, სკოლის ბინაზე 10—2 საათ. 10 ენკენისთვემდინ. სწავლის ფული: უმცროს მასწავლებლებთან 100 მან. წელიწადში; ხუთ-ხუთი თუმანი ნახევარ წლიურად; უფროს მასწავლებლებთან 110 მან., ნახევარ-წლიურად—55 მან. ამ ფასში შედის თეორიულ საგნების შესწავლის ღირებულებაც. **კომპოზიციის სპეციალური თეორია—წელიწადში 100 მ.**

?

## თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთა მობრძანდეს

## თავადაზნაურობის საგუბერნიო კრებაზე

22 სექტემბერს დილის 11 საათზე თბილისის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ბელინსკის ქ. № 2).

**განსახილველი საგანი:** კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინადადება: თავად-აზნაურობამ მიიღოს თავის თავზე რამდენიმე სტიპენდიატის შენახვა მომსამზადებელ პანსიონში, რომელიც განზრახულია დასაარსებლად ქ. თბილისში იმ ბავშვებისათვის რომელნიც უნდა შევიდნენ, როგორც სათავად-აზნაურო სტიპენდიატები, რუსეთის კადეტის კორპუსებში.

Adresse télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

**დიასახლისებს!**

საოჯახოდ სხვა და სხვა ნივთები და საგნები. აგრეთვე სამზარეულოსა და სუფრისათვის. სხვა და სხვა საგნები ქალების და ბავშვების ჰიგიენისათვის და ავადმყოფთა მოვლისათვის. გიმნასტიური მოწყობილობა. პარფიუმერიის ახალ-ახალი საგნები.

## მიღებულია დიდძალი ასარჩევი

სავაჭრო მატყლეულობისა, აბრეშუმეულობისა, მაუდეულობისა, ტილოეულობისა და ჩულქეულობისა

## სავაჭრო სახლის

# ე. ე. მაიერის

მაღაზიაში.

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზის“ ქვეშ.

## ახალი კლუბი საზაფხულო სადგომი

**ორშაბათს, 16 და ოთხშაბათს 18 სექტემბერს,**

## სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე**

### საკვირველი ამბავია სწორედ!..

„თბილ. ლისტოკი“ გვაუწყებს, ოფიციალური ცნობები შეუკრებიათ, რომ ლეჩხუმის მაზრაში წელს სიმინდის და ყურძნის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იქნებაო; თუმცა მცხოვრებლებს დააკლდებათ ცოტაოდნად სარჩო საკვებად და სათესლედ, მაგრამ მაინც საკუთარი ძალღონით გაუძლებენო; მთავრობის დახმარება არ დასჭირდებაო.

ჩვენ ეს გარემოება მეტად გვაკვირვებს, როგორ თუ „საკუთარი ძალღონით გაუძლებენო“?!

ნუთუ მთავრობას მოეძებნება ისეთი საშუალება, რომელიც შეძლებას აძლევს მას სწორედ და შეუცდომლად გამოარკვიოს მცხოვრებთა ეს „საკუთარი ძალღონე“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, განა ადგილობრივი მთავრობა მოასწრებდა გამოეკითხა მთელ მცხოვრებთათვის, თუ რა ზარალი მოუვიდათ გოლვისა და მოუსავლობის გამო და რა სალსარი მოეპოვებათ ამ ზარალის სიმწვავის გასანელებლად?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოფიციალური დასკვნა მეტად ნაჩქარევი და მოუფიქრებელია. რამდენადაც ვიცით, მდგომარეობა მეტად სავალალოა და ეს კუთხე როგორც რაჭისაც, უეჭველად ჰსაჭიროებს მთავრობის დახმარებას. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს სვანეთსაც, სადაც აგრეთვე მოსალოდნელია სიმშილობა. დანარჩენ კუთხეებშიაც უჩ-ვიან მდგომარეობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი და საზოგადოდ ადგილობრივ გაზეთების კორესპონდენტები ამ კუთხეებიდან მოგვაწვდიან უფრო დაწვრილებით ცნობებს ამ საგნის გამო.

საჭიროა შეგნებული პირები დაფაცურდენ; ყველაფერი გამოიკვლიონ და გვაცნობონ დაუფარავად.

ახლავე უნდა ვიზრუნოთ, თორემ, თუ სიმშილი მოადგა კარს სოფელს, მაშინ გვიანღა იქნება.

იმედი გვაქვს სამღვდელო პირების, მასწავლებლებისა, ფეშლრებისა, მეაფთიაქეებისა და სხვა სოფლისინტელიგენტების, რომ ყურს არ მოიყრუებენ ამ საქმეში და შესაფერად შეასრულებენ თავის მოვალეობას ხალხის წინაშე.. .

## თბილისის ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრის შესახებ.

გასულ წლის ბოლოს ქართულ გიმნაზიაშიაც დაარსდა მშობელთა წრე, რომელსაც მიზნად აქვს დაეხმაროს გიმნაზიას სწავლა-აღზრდის საქმის მოწყობაში.

თუ ასეთი წრის არსებობა რომელსამე გიმნაზიაში საჭირო არის, ყველაზედ უფრო ჩვენს სასწავლებელშია საჭირო. არის მაგალითი, რომ ერთი რომელიმე მოწაფის ზომას გადაცილებულ ყოფა-ქცევას ხშირად მოჰყვება ხოლმე არა სასურველი მოვლენა, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს გიმნაზიის გამგეობას. საჭიროა მშობლები დავეხმაროთ მასწავლებელთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობლები ამ აზრისა არიან: ფულს ვიხდი, შვილს სკოლაში ვგზავნი და ამითი ჩემი ვალი შესრულებული მაქვსო, დანარჩენი მათზე შრომა ე. ი. აღზრდა ყოველ მხრივად და ადამიანად გამოყვანა მარტო გიმნაზიის საქმეაო. ის ავიწყდებათ ამათ, რომ თუ თვით მშობელი, როგორც პირადად დაინტერესებული თავის შვილის მომავალში, არ დაეხმარება გიმნაზიას თავის შვილის ზნეობრივ აღზრდაში, მარტო გიმნაზია ვერას გახდება... გიმნაზიის გამგეობა როგორ უნდა გაუძლოვეს იმოდენა ახალგაზრდობას? მშობლებმა უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენ შვილებს უხდებათ სკოლაში და მის ამდინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა მხოლოდ სამი საათის განმავლობაში. დანარჩენ დროს ბავშვები სკოლის გარედ ატარებენ. ამ დროს საჭიროა მშობლების ზედამხედველობა. მშობლები თვალყურს უნდა ადევნებდენ, თუ რას აკეთებენ მათი შვილები, ვისთან აქვსთ კავშირი—სად დადიან, როგორ მეცადინეობენ, ერთი სიტყვით როგორ იქცევიან შინ, გარედ და სხვ.

არიან ისეთი მშობლები, რომელთაც თუმცა იციან თავიანთ შვილების უხეირო ქცევა, მათი უსაქმო ხეტიალი, სარდაფებში ლოთობა, ქალალდის თამაშობა, ბევრი სხვა რამ ამგვარი, მაგრამ დროზე ყურადღებას არ აქცევენ, ზომებს არ ღებულობენ, რომ მიეშველონ გადარჯულებულ ბავშვს! მერე, როდესაც ტყობილობენ, რომ მათი შვილი ან კლასში დარჩა ანდა გიმნაზიიდან დაითხოვეს, გარბიან დირექტორთან მიზეზის გასაგებად და თან თხოვნა-მუდარით აწუხებენ დირექტორს, მასწავლებელთ და ბევრ სხვასაც, რომ მის შვილს უშველონ როგორმე. ხშირად ცილსაც ავრცელებენ, ჩვენს ბავშვს უსამართლოდ მოექცენო. დროზე არ ჰშველიან თავიანთ შვილებს და მერე კი სინანულს ეძლევიან... საქმის წახდენის შემდეგ, თითზე კბენა გვიანღაა. მართალია ყველა მშობლებს არ შეუძლიანთ ეს თვალყურის დევნა. ამ შემთხვევისათვის მშობელთა წრეა გაჩენილი. მაშინ წრე გაუწევს პატრონობას ამ მხრივ მოწაფეებს.., ამიტომ უეჭველად საჭიროა, რომ ქართულ გიმნაზიასთან დაარსებულმა მშობელთა წრემ დიდი საქმიანობა გამოიჩინოს და დაეხმაროს გიმნაზიის გამგეობას ჩვენს მოწაფეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. სასურველია აგრეთვე ამ წრის წარმომადგენლებმა გაგვაცნონ წარსული წლის თავიანთი მოქმედება.

**ერთი მშობელთაგანი.**

## წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის 30 წლის არსებობის დღესასწაული.

ენკენისთვის 29 ს. სოფელ წინამძღვარიანთ-კარში იმართება დღესასწაული წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის 30 წლის შესრულებისა.

საიუბილეო კომიტეტი შემდგარია ქართულ სამეურნეო საზოგადოების, ტფილისის თავად აზნაურთა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელთაგან. საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარე დიმ. ჩოლოყაშვილია, მდივნად მიწვეულია ვას. რცხილაძე. კომიტეტის წევრებათ ითვლებიან: შიო დედაბრიშვილი, ივ. ვაჩნაძე, დავ. ვაჩნაძე, ეგნ. იოსელიანი, კონსტ. მაყაშვილი, პ. მელია, სვ. ხუნდაძე, არჩ. ჯაჯანაშვილი და არს. წითლიძე.

კომიტეტმა დაჰგზავნა შესაფერი განცხადებანი და საბოლოოდ შეიმუშავა დღესასწაულის შემდეგი გეგმა:

1. დილის 10 საათზე წიწამურში ჯვართან და 11 საათზე გურამიანთ-კარში გადიხდიან პანაშვიდს ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის თანამშრომელთა—ილია ჭავჭავაძის და დ. ს. სტაროსელსკის—სულის მოსახსენებლად.

2. 12 საათზე წინამძღვარიანთ კარში გადიხდიან პანაშვიდს ილია ივანეს ძის მეუღლის—ოლღა მიხეილის ასულის სულის მოსახსენებლად და შემდეგ პარაკლისს.

3. მილოცვა, ისტორიული მიმოხილვის წაკითხვა და სალიტერატურო დილა სკოლის დარბაზში.

4. სკოლის დათვალიერება.

საზოგადოებათა წარმომადგენლებმა და კერძო პირებმა, რომელთაც სურთ სიტყვით მიულოცონ, უნდა თავიანთი სურვილი გამოუცხადონ საიუბილეო კომიტეტს 25 სექტემბრამდე. კომიტეტის ბინა: ბარიათინსკის ქუჩა, № 5, ქართული სამეურნეო საზოგადოება.

სასურველია, აგრეთვე წინდაწინვე გამოცხადდეს, თბილისში სად უნდა შეიკრიბნენ მოდღესასწაულენი წინამძღვარიანთ-კარისკენ ერთად წასასვლელად.

## „თემის“ „მოკამთენი“...

საკვირველია, სწორედ, ჩვენი ამბავი. სადაც განათლებული კულტუროსანი ერები სცხოვრობენ, ყველგან სიდარბაისლე, წესიერება, ზრდილობიანობა პრესაში ჟურნალისტისათვის სავალდებულოა; ეთვლება ღირსებად.

ჩვენში კი სულ სხვაა... პუბლიცისტური წესიერება და სიდარბაისლე ჟურნალისტს სისუსტეში ჩამოერთმევა ხოლმე. აი ახლაც „თემმა“ ყოველი ღონე იხმარა თავის „მოკამათეებს“ ზრდილობიანად მოჰქცეოდა, სამაგიეროდ რას არ სწამებენ მას ორივე მხრით?!

„სიმართლის ხმა“ ითხოვს „თემისაგან“ არც მეტს, არც ნაკლებს... პირდაპირ ცოდვის მონანიებას...

მხიარული ხალხი კი უნდა იყვენ „სიმართლის ხმის“ ახლანდელი მესვეურნი!..

„თემს“ ისინი „საზიზღარ დემაგოგობას“ აბრალებენ ამაზეა სწორედ ნათქვამი: „ჩემი შენ გითხარიო და, გული მოგიკალიო“.

სხვათა შორის აი რას ამბობენ: „განა ბ. დიასამიძე არ ჰბრძანებდა ერთ თავის წერილში: ნუ ამტკიცებთ იმას, რომ ილია სასტიკი მემამულე იყო, თორემ ამით იმასაც დაამტკიცებთ, რომ იგი ღირსი იყო სიკვდილისო“...

„ჩვენ ამაზე პასუხი გავეცით დიასამიძეს, მარა მან გაჩუმება არჩიაო“— უმატებენ ულმობელი „მოსამართლენი“.

დიასამიძისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „თემმა“ კი ამაზე უკვე მოგცათ პასუხი. თუ ეს საკმარისად არ მიგაჩნიათ, ახლა ჩემიც მოისმინეთ.

აი რას ამბობდა „თემის“ მეთაური 5 აგვისტოს:

„სწორედ გასაკვირალია, რათა სურთ ზოგიერთებს, რომ უეჭველად გამართლდეს ფ. მახარაძის მტკიცება,—ილია უსასტიკესი მემამულე და ავი ადამიანი იყოო.

განა ეს უფრო არ გაამწვავებს საკითხს?

ისინი თავდაყირა აყენებენ რომაელების ოქმულებას და თავიანთ ქცევით ამტკიცებენ, რომ მათთვის პლატონი უფრო მეგობარია, ვიდრე ჭეშმარიტება.“

გრ. დიასამიძეც სწერდა 12 აგვისტოს ფ. მახარაძისადმი მიმართულ პასუხში შემდეგს:

განა, როცა ვაქარწყლებთ საბუთებით ხელში ამ საშინელ უსამართლო ბრალდებას, (ე. ი. ილიას მიერ ჯარის გამოწვევას) მით არ ვუთხრეთ სრულებით ნიადაგ ჭორს და ცილისწამებას, ვითომც ილია მოეკლას ცნობილ მიმართულების ჯგუფს ან გლეხობას?

## კ. აბაშისპირელის ლექსები:

I

### კუბოს შეგიკრავ!..

„და ჰკლავენ იმას, ვინც თვითვე უყვართ
დეე ქვეყანამ იცოდეს მასზე“.

(ძღვნათ ჩემს სულამითს)

კუბოს შეგიკრავ, გესმის გიყო, ჩემივე, ხელით!
ცრემლით დაგმარხავ,.. ძეგლს აგიგებ ცრემლთა სეტყვისგან.
დამჭკნარ ყვავილებს თვითვე მოვკრეფ სამშობლოს ველით
გულს დაგასვენებ ფერ მილეულთ, გადამწვართ მზისგან...
კუბოს შეგიკრავ... რადგან მინდა სულ ჩემთან იყო.
არ მსურს გატკბობდეს მოხუც პონტის ტალღათა ცემა,
არ მსურს უჩემოთ ყოფნის ზღვაზე, რომ გაირიყო,
თუნდ ძლევის ნიშნად შუბლს გიმკობდეს მზის დიადემა!..
კუბოს შეგიკრავ და კულულთა მაგ ოქროს ყანას,
სიო რომ გირხევს მონაბერი სამშობლოს ველით,
ცრემლით დაგნამავ და ვაცნობებ თვითვე ქვეყანას;
რომ სატრფო ჩემი, მე მოვკალი ჩემივე ხელით.

II

### საფფოს ქანდაკების წინ.

ოჰხ, ვით მოსწყურდი ჩემ სულს ავადმყოფს,
ოდეს გიხილე მუზათა სამყოფს,
ყოველ შენ სტრიქონს ბეჭედი აზის,
ბიწიერ ვნების სიტკბო სინაზის
ოცნების შუქით დაფერილ ლექსით
ფერად სიტყვათა ტკბილი ალერსით
ხან ვენახივით სულს გარს ეხვევი
ხან მუშკამბარათ მიმოეკმევი.
ვარდისფერ ლექსთა ნექტარი
ტკბილი.
ხან მშვიდი წყნარი
ვით ღმერთთა ძილი,
ვით შელლის ქნარი
გრძნებით ავსილი!
ხანაც მწუხარე ვითა ფსალმუნი
ვით ტკბილი ლოცვა იესოს დიდის,
ხან ვით ღუღუნი
ობოლი მტრედის...
შიგ ღვივის ცეცხლი მზით დანაკვესი,
შიგ ღვივის კოცნა სულზე უტკბესი.
მსურს დავეწაფო
მაგ სანეტაროს
გრძნობის შადრევანს ვნების ტკბილ წყაროს,
ოჰხ, საფფო, საფფო,
ალვას რგულს, საროს,
ვინ შეგედაროს, ვინ შეგედაროს..,

**კ. აბაშისპირელი.**

ერთს წამს მაინც ჩაუფიქრდით ამ გარემოებას, ბატონებო, დააკვირდით რას სჩადიხართ და რას ამტკიცებთ თქვენის ქცევით?..

ფ. მ. ხარაძისავ-ით რომ ილია ბარბაროსად, ხალხის მევლეფელად და ამწიოკებლად მივიჩნიოთ, განა ოდნავ მაინც გავანელებთ ხსენებული ლეგენდის სიმწვავეს?..

კარგად უნდა იცოდეს ჩვენმა „მოკამათემ“, რომ მის მიმართულების ჯგუფსშიაც მოიპოვება მრავლად იმისთანა შეგნებული პირი რომელიც ილიას პიროვნების დახასიათებაში სრულებით არ თანაუგრძნობს მას. ჩვენ ვიცნობთ ამისთანა სახეს.“

ეს ორი ამონაწერი ცხადად ამტკიცებს, თუ როგორ არის დამახინჯებული „სიმართლის ხმის“—მიერ „თემის“ ნათქვამი. ამონაწერიდან ნათლად სჩანს რომ „თემი“ იწუნებს იმ ტენდენციას, წინასწარ აღებულ აზრს, რომელიც გამოსჭვივის მოპირდაპირეთა ნაწერებში. „თემი“ მოითხოვდა მშვიდობიანად გამოეკვლიათ ყველა გარემოება, მოწინააღმდეგეებმა „თემს“ მხარე კი არ დაუჭირეს, პირიქით ხელი შეუშალეს და ფ. მახარაძე „უცოდველ პაპად“ გამოაცხადეს, თანაც ისიც დააყოლეს: „ვინც ფ. მახარაძეს რამეს შეჰკადრებს, ის ხალხის მტერიაო“...

განა ამ გვარად საკითხის დაყენებაზე არ უნდა ეთქვა რა „თემს“?

მაგრამ რა საჭიროა ამაზე გრძელი ლაპარაკი... თვითონ „სიმართლის ხმის“ პუბლიცისტებმა კარგად იციან თუ ვინმე სცდება ამ „კამათში“, ეს მხოლოდ თვითონ ისინი. „თემი“ კვალ და კვალ მისდევდა თავის მაწბილებელთ და ყველა მათ „საბუთს“ არღვევდა. ახლა უკანასკნელად ისინი ხავსს შეეჭიდენ მაგრამ „ხავსს“ ვისთვის გაუწევია სამსახური, რომ ახლა გაეწია მათთვის?..

ეს იცოდენ კარგად და აკი კიდეც უარი სთქვეს ამხანაგურ განსამართლებაზე. თითზე იხვევენ, ჟურნალი „სევერნი ზაპისკები“ რა შუაშიაო?! მაგრამ „თემს“ ხომ მარტო ეს მშრომელთა ჯგუფის ორგანო არ დაუსახელებია იმან დაასახელა მემარცხენე ფრაქციებიც, ხალხოსნოების ალმსარებელი „რუსკოე ბოგატსტვო“ და მარქსისტების „სოვრემენი მირი“.

ამაზე რატომ აღარა სქთვეს რა?

მაგრამ იცოდენ... ამხანაგურ განსამართლებაზე უარისთქმა ამ კამათის დროს მათი ზნეობრივი დამარცხებაა. „თემი“ სრულიად დაკმაყოფილებულია...

ეს კია „თემმა“ უნდა აღიაროს საჯაროდ თავის შეცდომა.

იგი, მართლაც შესცდა მას დიდი რწმენა ჰქონდა თავის ახლანდელი მოპირდაპირეებისა. სწამდა მათი სიდარბაისლე და მიუდგომლობა. დიაღ იგი შესცდა!..

— —

ახლა „იმერეთზე“, მაგრამ ღირს კი?

რა უნდა სთქვას კაცმა ისეთ ორგანოზე, რომელსაც თვით მისიანნი უარჰყოფენ და ვერც კი ახერხებენ მის გამოსარჩლებას გაჭირების დროს.

„იმერეთს“ თითქო იამება გამეორება ფ. მახარაძის და „მოგზაურის“—მიერ ნახმარი და ილიასადმი მიმართულ მარგალიტი სიტყვებისა. მას ხელ-ახლა აუკინძია და ხელ-მეორედ ჰბეჭდავს თავის ფურცლებზე.

ნეტა ვის აზეპირებენ?

ასეთი გულ-უბრყვილო ორგანო, მეტი რომ არა ვსთქვთ „თემს“ უკიჟინებს: არ იცი, რა არის სიტყვა „პროვოკაციაო“... მას ჰგონებია, რომ „პროვოკაცია“ ეუქმის მხოლოდ პოლიციის დეპარტამენტის მოხელის ნამოქმედარს.

როცა გაიძახით: „რა უნდა გამოიკვლიოთ? ის, რომ ილია ჯაშუში იყო, თუ არაო“, თანაც, როგორც თქვენვე ახლა ჰბრძანებთ, გწამთ, რომ „თემს“ არ უნდოდა ეთქვა, ეს საზიზღარი ბრალდებაც ჰსაჭიროებს გამომკვლევასაო, დიაღ, როცა ამას გაიძახით, განა არ ასმენთ ქართველ ხალხს, რომ „თემს“ ილიას პატიოსნება საეჭვოდ მიაჩნია?

რა არის ეს, თუ არ წინასწარ განზრახვით მოწყობილი მთელი ხალხის ამხედრების გამოწვევა უდანაშაულო მოპირდაპირის წინააღმდეგ?

პროვოკაცია გამოწვევაა ლათინურად. ზოგიერთ თქვენგანს ხომ კლასიკური განათლება მიუღია. დაგვიწყდათ ასე მალე თუ?..

აღიარეთ გულ-წრფელად, განა, როცა ზემო-მოყვანილს სწერდით, არ გინდოდათ სახელი გეგეტეხათ ფართო მასის თვალში იმ გამოცემისათვის, რომლისადმი თქვენ ყოველთვის მხოლოდ უაზრო სიძულვილი გალაპარაკებთ, თორემ ბალღმაც კი იცის, როცა გსურს ილიას და გლეხების ურთიერთობა გამოიკვლიო, სალი და პატიოსანი მსჯელობის ადამიანს არ მოგივა აზრად ჯაშუშობის საკითხის დაყენება.

დიაღ! „იმერეთი“ სცდება... მას დაავიწყდა: **არის სიძულვილი, რომელიც ღირსებას ამტკიცებს მოპირდაპირისას...**

**იგივე.**

## ასე იყო, ასე იქნება..*)

და შეჩერდა შეშფოთებული თორმეტი ტომი ისრაელისა.

იმათ წინ იყო ზღვა.

გამხეცებული, შეუდრეკელი და ულმობელი ეხეთქებოდა ის ნაპირებს. თვით ცამდის აწვდენდა ის თავის აქაფებულს ტალღებს და დევნილი ერის წინაშე დაღლო გაუზომელი ხახა, ბნელი, შეუბრალებელი.

მათ მტერი მოსდევდა,

ისმოდა მდევართა ცხენების ჭიხვინი. ფეხების თქარა-თქურისაგან მიწას გუგუნი გაჰქონდა. იარაღის ჩხრიალი და ეგვიპტელთა მხიარული კიჟინა ჰაერს არყევდა.

და შეჩერდა თორმეტი ტომი ისრაელისა.

მათ წინ სიკვდილი იყო.

უკან – მონობა.

საით წასულიყვნენ?

II

გამოვიდნენ წინ წინამძღოლნი ისრაელთა უფროს ტომთა, წინამძღოლნი რუბიმისა და იეგუდასი.

ისინი დიდიხანია წინამძღოლობდენ ისრაელს. მათ როგორც ბრძენთ შეეძლოთ ერთ და იმავე დროს ფარაონის ერთგულნიც ყოფილიყვნენ და თავის ერისთვისაც ემსახურნათ. ამიტომაც დააყენეს ისინი ეგვიპტელებმა ისრაელთა წინამძღოლათ.

ისინი ბრძნულად განაგებდენ თავიანთ ხალხის საქმეს. იმათ დროს ახალგაზრდა მონები კი არ ზარმაცობდენ. აგურების რაოდენობა იზრდებოდა დღითი-დღე. პირამიდები სულ მაღლა-მაღლა მიიწევდენ—ცისაკენ. ეგვიპტელები კი მათ აქებდენ.

— აი პატივცემულნი მონანი—ამბობდენ ისინი.

მათი სიბრძნისა, ჭაღარა თმა-წვერისა და ერთგულებისათვის ეგვიპტელებს ისინი უყვარდათ, მაგრამ ამასთანავე ეშინოდათ მათი გავლენისა ისრაელზედ.

და ორმა ბრძენმა ჭაღარა, ხალხის წინამძღოლმა ასეთი სიტყვებით მიჰმართა ხალხს:

— იქ, სადაც ხელები სუსტობენ, უნდა მოვიხმაროთ გონება. იქ, სადაც ჰქრება ახალგაზრდული მამაცობა—თავგანწირვა, ადგილს იჭერს სიბრძნე მოხუცებულობისა.

ისმინე ისრაელ!

სასტიკია ფარაონი, მაგრამ შეუბრალებელია ზღვა. საშინელია ბორკილი, რომელშიაც ეგვიპტელები გვიპირებენ ჩაჭედას, მაგრამ ზღვის ტალღები უფრო საშინელნი არიან. შეუბრალებელია მათრახი მონის ზურგზედ, მაგრამ უფრო შეუბრალებელნი არიან ქვეწარმავალნი ზღვისანი.

ყოველთვის ნაკლები ბოროტება უნდა ავირჩიოთ. დავიწყოთ მოლაპარაკება ეგვიპტელებთან.

— არასოდეს, ისინი ჩვენ ყელებს დაგვჭრიან,—აყაყანდა ხალხი.

—არ დაგვჭრიან,—ირწმუნებოდნენ წინამძღოლნი რუბიმისა და იეგუდასი.

—ჩვენ მათ ვსთხოვთ სიცოცხლე გვაჩუქონ. ჩვენ აღვუთქვამთ, რომ მომავალში გამოვისყიდით წარსულს. გაძლიერებული შრომით ჩვენ გავასწორებთ ჩვენს დანაშაულს. მორჩილებით და მოთმინებით ჩვენ კვლავ დავიმსახურებთ ეგვიპტელების ნდობას. არ დაგვჭრიან ყელებს.

და ხალხი შეირყა...

III.

უცბად გაისმა ხალხში მოთქმა. ეს მოსე ლაპარაკობდა.

—ერო ჩემო!—ამბობდა დიდი წინამძღვარი და წინასწარმეტყველი.—ერო ისრაელისაო!

ღმერთმა უბოძა ადამიანს ორი საჩუქარი: სიკვდილი და მონობა. სიკვდილი მსწრაფლ გასწყვეტს ყველა ძაფებს ჩვენი ცხოვრებისას. მონობა კი წელთ-წელობით, მთელი წლობით გამოსწოვს ჩვენგან სიცოცხლეს. სიკვდილი უტკივარია, მონობა კი გვართმევს ყოველ წამს ტანჯვა-წვალებაში.

რატომ უფრთხით სიკვდილს და ეძებთ ხსნას მონობის ბრჭყალებში? მეტი გამბედაობა, ერო ჩემო!

—უმჯობესია მტერმა ჩვენი ლეშები დაინახოს, ვიდრე ცოცხალნი, მათ ფერხთა ქვეშ მფორთხავნი. ზღვის ტალღებმა ჩაგვყლაპონ ჩვენ, სანამ ჩვენი წინამძღოლნი თავიანთ ჭაღარა თმებით დაუწმენდნენ ფეხსაცმელებს ეგვიპტელებს!..

გაბედულად ზღვისაკენ! გმირებს და გაბედულებს ცაც ეხმარება და შესაძლებელია სასწაული მოხდეს.

და აღილო მოსემ თვისი კვერთხი..

მოხდა სასწაული, ისრაელთა უმცროსი ტომისაგან, ტომისაგან ბენიამენისა გამოვიდა რამოდენიმე ყმაწვილი და გაბედულად გადადგა ზღვაში ფეხი.

მოხდა მეორე სასწაული. ზღვა ყრუ ქოთ-ქოთით გაირღვა მათ წინ, თითქო დამარცხდა მათი გაბედულობითო.

ყმაწვილები წინ მიიწევდნენ და სტიქიონში ეძებდენ მონობისაგან ხსნას.

ტალღები მათ წინაშე უკან იხევდნენ და აქეთ-იქით აკეთებდენ მაღალ კედლებს და აქაფებულ-აღრიალებულნი საგალობელს უგალობდენ მამაცობას ყმაწვილთა.

სტიქიონი გზას უთმობდა გაბედულობას. სტიქიონი ემორჩილებოდა გაბედულნებას ყმაწვილებისას.

ისინი კი მიდიოდნენ წინ. ყმაწვილები ყმაწვილთაგან გზას უკვალავდენ ერსმონას თავისუფლებისაკენ. მათ დიდის გასაჭირით უკან მიჰყვებოდნენ ჭაღარა ბრძენნი—წინამძღოლნი რუბიმისა და იეგუდასი.

IV

ასე იყო.—ასე იქნება!..

**დ. ასკანელი**

*) ეს ლეგენდა დაბეჭდილია ჟურნალ „ხასემ დნის“ ამ წლის 22 ნომერში.

## ქართული მუზეუმი*)

### I ფრესკები.

მუზეუმი მხოლოდ სამი წელიწადია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში იმის და მიუხედავად, რომ ეთნოგრაფიის საზოგადოებას არ მოეპოვებოდა დიდი თანხა, მუზეუმში მაინც იმდენი ძვირფასი ნივთეულობა და მასალაა შეგროვილი, რომ ყველა მის ასაწერად საჭიროა დაიწეროს რამდენიმე ტომი.

მე ვეცდები რამდენსამე პატარა წერილში აღვნიშნო ის, რაც უფრო თვალსაჩინო და საინტერესოა.

პირველად მსურს ნათელვყო მუზეუმის მნიშვნელობა სამხატვრო ხელოვნების დარგში. ეს განყოფილება მდიდარია უმთავრესად ქართველ მეფეების და სხვა და სხვა მოღვაწეების და ადგილობრივ ტიპების სურათებით. არის აგრეთვე საპეიზაჟო და საჟანრო ნაწარმოები თანამედროვე მხატვართა, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

დავიწყებ ფრესკებიდან, რომელიც დასაბამია ქართულ სამხატვრო ხელოვნებისა. ქართულ ფრესკების შესახებ ხშირად ჰფიქრობენ, რომ ისინი „ბიზანტიურ ნიმუშების ბრმა მიბაძვას“ წარმოადგენენ.

ეს აზრი სრულებით უსაფუძვლო და უსამართლოა.

თუმცა ქართული ფრესკები შექმნილნი არიან ბიზანტიურ ხელოვნების ზეგავლენით, მაინც მათ ცხადად ამჩნევიათ თავისებურობის ბეჭედი. ადგილობრივი ტიპები ტანისამოსი—მეფეების სახეებიდან დაწყებული უბრალო მომაკვდავებამდინ—ყველა ეს გამოხატულია ქართულ ფრესკაში.

შექმნის-კომპოზიციის მხრითაც ქართული ფრესკა ორიგინალურია. იმისთანა კომპოზიციებს, როგორიც გელათის მონასტერშია, საქართველოს გარედ სხვაგან ეერსად ვერ შეხვდებით.

ანგელოზები სწირავენ. იესო ფერხთა ჰბანს მოწაფეებს, ღვთისმშობელი კი—წმ. დედათა. ქრისტე აზიარებს მოციქულებს ერთის მხრით პურით, მეორეს მხრით ღვინით.

*) მხატვარმა ევგენ ფსკოვიტინოვმა გამოსთქვა სურვილი ქართულ პრესაში დაესტამბა რამდენიმე წერილი ჩვენი ეროვნული მუზეუმის და ხელოვნების შესახებ. ჩვენ სიამოვნებით დავუთმეთ ჩვენი გამოცემის ფურცლები. ქართველი მკითხველი ამ პატარა წერილებიდანაც ადვილად შეიტყობს, რა ზანძის პატრონნი ვყოფილვართ. ამ მცირე ხანში ბ. ექვთიმე თაყაიშვილის და მის თანამშრომლების წყალობით ბევრი შეგროვდა. ეს წერილები, რომელიც უცხო კაცს ეკუთვნის, უეჭველია, უფრო გამოიწვევს ჩვენი საზოგადოების ყურადღებას ამ დიად საქმისადმი და გაუღვიძებს მას სურვილს ნივთიერი დახმარებისა და ეროვნულ ხელოვნების და კულტურის ზედ მიწევნით შესწავლისა.

**რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფრესკა გაყოფილია ორ ნაწილად; ქრისტე დახატულია ორჯერ.

ქართული ფრესკები, განსაკუთრებით იქ, სადაც მონასტრები და ტაძრები მიტოვებული არიან, მალე ფუჭდება.

ადამიანი და დრო—აი მიზეზი მათი გაფუჭებისა. ამიტომაც ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოება ესწრაფვის შეაგროვოს იმ ფრესკების გადმოღებული ნახატები, რომელნიც შესაძლებელია მალე გაფუჭდენ.

აქამდინ ამ საზოგადოებას შეუგროვებია თავის მუზეუმში შემდეგი ფრესკების პირები:

ხუთი ფრესკა წმ. ნიკოლოოზ კინწვისელის ეკლესიიდან. ეს ფრესკები დახატულია მხატვარ გრინევსკის მიერ.

ორი დიდი ფრესკა (4 ფიგურა, ორ-ორ კვადრატ საჟენისა თითო) ლეჩხუმის სოფ. ნაკურალეშის ეკლესიიდან. ეს ფრესკები დახატულია მხატვარ კაკაბაძის მიერ.

სამი ფრესკა მცხეთის ათთორმეტთა მოციქულთა სობოროდან. ამათგან ორი—„დედოფალი მარიამი ძითურთ“ და „მეფე ვახტანგი და კათოლიკოსი“—დახატულია ბ. კაკაბაძისაგან და „ქალთა ცეკვა“ კი—ამ სტრიქონების დამწერისმიერ.

არის კიდევ მომცრო აკვარელები საფარის და ბეთანიის მონასტრის ფრესკებისა

წმ. ნიკოლოოზის ეკლესიიდან გადმოღებული ფრესკებით დახატულია აკვარელით.

ეს საშუალება უხერხულია იმ მხრით, რომ არ შეიძლება ფრესკა მთლად გაკეთდეს; უნდა უეჭველად თვითეული ფიგურა ცალკე გადმოიღოთ. ეს კი არღვევს იმ მთლიანობის შთაბეჭდილებას, როგორიც მას აქვს ტაძრის კედელზე. ორ არშინზე ფართო ქაღალდს ძალიან იშვიათად იშოვის კაცი. ეს ქაღალდიც უნდა დააკრათ ტილოზე, რომ არ დაიხეს. მერე, თუმცა ფრესკა დაწვრილებით არის გადმოცემული, ის მაინც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო თხელიაო. ვერ ჰგრძნობთ მასალის სიმაგრეს—გაჯით გალესილ კედელს.

ბ. გრინევსკის საუკეთესო ნახატებია—ორი პატარა ფრესკა რომელიც ჰკიდია მსხვილ ფრესკების მარჯვნივ.

ბ. კაკაბაძის-მიერ დახატულ ფრესკებიდან საუკეთესოა „მეფე ვახტანგი და კათოლიკოსი.“ აქ იმიტაცია (მიბაძვა) სრულიად შეეფერება სინამდვილეს. ნახატი გადმოგვცემს თვით იმ ფრესკის შთაბეჭდილებას, რომელიც, დახატულია გაჯით შელესილ კედელზე.

ნახატი „დედოფალი მარიამი ძითურთ“—ნაყოფია დიდი და ბეჯითი შრომისა. პირი უფრო მუქია, ვიდრე ორიგინალი, რომელიც თავის დროზე გარეცხილი იყო. ორიგინალი მაინც უფრო ღია ფერისა მოსჩანს.

ბ. კაკაბაძის ორი უკანასკნელი ფრესკა ნაკურალეშიდან გვიჩვენებს, თუ რამდენად უფრო სამჯობინაროა ფრესკის გადაღება ტილოზე, რომელზედაც შეიძლება, დაიხატოს ფრესკა რა ზომისაც გსურთ.

აი ამით განისაზღვრება ნახატების კრებული, რომლის გასაკეთებლად ქართველმა თავად-აზნაურობამ გადასდო სამი ათასი მან. ყოველ-წლიურად.

რამდენადაც ვიცი მხატვარ შმერლინგსაც ჰქონდა მინდობილი რამდენიმე ფრესკის გადაკეთება მუზეუმისათვის, მაგრამ ამის ნაშრომი ჯერ ჯერობით არა სჩანს მუზეუმში.

ჩემის აზრით, საჭიროა ჩქარა გადავიღოთ ფრესკების პირები, რადგანაც წლიდან წლამდე ფუჭდებიან. რამდენიც უფრო მეტი მხატვარი იმუშავებს ერთსა და იმავე დროს ფრესკების გადასაღებად, მით უფრო კარგი იქნება. შესრულების ტეხნიკის სხვა და სხვაობა მხოლოდ განაცხოველებს ნახატთა კრებულს. კონკურენციას აქ ადგილი არ ექნება. ფრესკების დაცვის საქმე—იდეურია.

ის ვინც შეიგნებს ამას და ამასთანავე ხალისიანად შეუდგება საინტერესო და ძვირფას მუშაობას, ის თვითონ იზრუნებს, რომ ფრესკა ჰგავდეს დედანს ამის აუცილებელი პირობაა—**ნახატის შესრულება ალაგობრივ თვით ტაძარში**.

საქართველო არ უნდა დაიყოს რაიონებათ და ასე დანაწილდეს მხატვართა შორის. საქართველოს ყველა ფრესკები საჭიროა გაიყოს ხარისხებზე იმის და მიხედვით, თუ რამდენად ძვირფასნი არიან ყოფა-მდგომარეობის, ისტორიის და მხატვრობის მხრით და რამდენად გაფუჭების და წაშლის გზას ადგიან. რომელიც ყველაზე ძვირფასი იქნება და რომელიც შესაძლებელია უფრო ადრე გაფუჭდეს, ის საჭიროა უპირველესად გადაიღონ ტილოზე მხატვრებმა.

რასაკვირველია, 3 ათასი-ძლიერ პატარა თანხაა და ამისდა მიხედვით მხატვრებიც ძალიან მცირე გასამრჯელოს იღებენ.

ნორვეგიელი მხატვარი კრონი აპირებს გაჰყიდოს ფრესკა, რომელიც მან გააკეთა მცხეთის ტაძარში,-500 მანეთად პარიზში. ასე მითხრა მან. მთელი „ნოეს კიდობნის გადატანის“ შესასრულებლად, 4 საჟენის ფრესკის, მან მოითხოვა სულ ნაკლები 1000 მანეთი. აი რა პირობით შეუძლია მას იმუშაოს, ქართულ მუზეუმი კი მხატვარს აძლევს მხოლოდ არა უმეტეს 80 მანეთისა კვადრატ საჟენზე.

ძალიან საწყენი იქნება, თუ ქართულ ფრესკების ნახატები დაამშვენებენ უცხო ქვეყნის მუზეუმებს.

მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ უნდა შეიგნოს, რამდენად მნიშვნელოვანია განსაკუთრებულ თავისებურ ქართულ ფრესკების დაცვა.

ამ საქმეში უეჭველად საჭიროა ქართულ მუზეუმს აღმოუჩინონ შესაფერი ნივთიერი დახმარება, რაც შეიძლება მალე. საჭიროა მიემატოს 3 ათასს რამდენიმე ათასი. არ უნდა დავივიწყოთ: გაივლის ათი, ოცი წელიწადი და მრავალი ფრესკა წაიშლება, ან ჩამოცვივდება ტაძრის კედლებიდან. დარჩება მხოლოდ ცარიელი ქვითკირი...

მხატვარი **ევგენ ფსკოვიტინოვი**.

## გავიხსენოთ ახალგაზრდა მწერალი!..

„თემის“ წარსულ ნომერში ბ. დომენტი არონიშიძემ მოათავსა საინტერესო მოგონება მისდროინდელ სემინარიის ცხოვრების შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის შეეხო ახალგაზრდა მგოსანს „დემონს“ (ქუჩუ ქავთარაძეს), რომელმაც ტრაგიკულათ გაათავა თავის ანგარიში წუთისოფელთან. როგორც თვით „მოგონების“ ავტორს, ისე ყველას, ვინც კი იცნობდა განსვენებულს, იგი მიაჩნდა ნიჭიერად.

ჟურნალ „ფასკუნჯის“ ხელმძღვანელებს ახლაც უნდა ახსოვდეთ, რომ „დემონის“ და შანშიაშვილის ლექსებს მაშინ ერთმანეთს ადარებდენ.

სწორედ საწყენია, რომ სიკვდილის შემდეგაც ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ არ აღნიშნა ამ ახალგაზრდა მწერლის ტრაგედია. მხოლოდ ჩვენმა მწერალმა პ. ირეთელმა უძღვნა გრძნობიერი შენიშვნა ჟურნალ „სალამურში“ მისს ლექსს, რომელშიაც ავტორი დედის საფლავზე ცხოვრების არარაობას დასტიროდა.

საჭიროა ახლა მაინც ხმა ამოვიღოთ ამ მწერლის შესახებ.

საინტერესოა, ვიცოდეთ, დაიკარგა თუ არა მისი პოემა „თინ თინ“, რომელსაც იხსენიებს ბ. არონიშიძე? იმედია როგორც პოემის, ისე საზოგადოდ განსვენებულ მწერლის პიროვნების და ცხოვრების შესახებ რასმე დასწერენ მის ამხანაგ-ნაცნობები და გაუზიარებენ მკითხველ საზოგადოებას.

ეს იქნება ვალის მოხდა განსვენებულ ტანჯულ ახალგაზრდა მწერლის წინაშე...

**თანამგრძნობი**.

## სავალალო მდგომარეობა.

ადგილობრივ გაზეთების კორესპონდენტები საქართველოს ყოველ კუთხიდან იწერებიან: აი ამა და ამ ალაგას დაარსეს საკრედიტო ამხანაგობაო. ვინ არ იტყვის, რომ ეს მეტად საგულისხმო ამბად უნდა ჩასთვალოს ყველა შეგნებულმა ადამიანმა, ვისაც კი წარმატება სამშობლოსი რადმე მიაჩნია.

მაგრამ ამ სამხიარულო მოვლენას თან სდევს მეტად სამწუხაროც. ბევრგან ბოროტმოქმედება აღმოაჩინეს, საქმის წარმოების დროს ჩადენილი. დასავლეთ საქართველოში—ქუთაისში, ნიგოითში, დიმში და სხვაგანაც ფული გაფლანგეს ზოგიერთ საკრედიტო ამხანაგობაში.

ხმები დადის, რომ ზოგიერთ კოოპერატიულ ამხანაგობაშიაც ვერ არის წესიერად მოწყობილი საქმეო.

ყველა ეს გარემოება მეტად სამწუხაროა. იგი საშინლად უტეხს სახელს ხალხში ახალ კულტურულ მოძრაობას

ნუ თუ საქმის რიგიანი მომწყობნი და მაგარი ხასიათის მქონე მმართველები ვერ მოუნახავთ?

თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ ხომ საშინელი კრიზისი დაუდგება კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში.

მერე ეს ბოროტ-მომქმედნი სულ ახალგაზრდობის ანუ ეგრედ წოდებულ „ახალთაობიდან“ გამოდიან.

ნუ თუ ასე უნდა გვესმოდეს ხალხის სამსახური, რომ ხალხისავე ქონება მივითვისოთ იმის მაგიერ, რომ მას შევმატოთ რამე?

რასაკვირველია, ზოგგან ასეთ უწესობას არა აქვს ადგილი. პირიქით ჩვენ ვიცით ისეთი ადგილები, სადაც საკრედიტო ამხანაგობის მმართველნი დიდის სიფრთხილით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

ცდილობენ ხალხში გა ვრცელონ ამგვარ ბანკების მნიშვნელობა. ბევრგან ამისთანა გულშემატკივარმა ხელმძღვანელებმა იკისრეს ერთი მეტად სასარგებლო საქმე. მოსალოდნელ სიმშილის რამდენადმე თავიდან ასაცილებლად გადასწყვიტეს იყიდონ იაფად რუსეთის ფქვილი და მიჰყიდონ პირდაპირ გაჭირვებულთ იაფადვე, რომ ააშორონ ესენი ჩარჩებს, რომელნიც ამგვარ მდგომარეობით ყოველთვის სარგებლობენ მოძმის გასატყავებლად.

რა თქმა უნ[და], ასეთი მოვლენა სასიხარულო და იმედის აღმძვრელია. დიდის სიფრთხილით უნდა იმოქმედონ ამათ, რომ როგორმე ფეხი არ წაუბორძიკდეთ და საქმეს მით არ ავნონ...

**გ. ქ.**

## მწუხრი ფერისცვალების (დარიის) მონასტერში.

ხუთის ნახევარი იყო, როდესაც მონასტრის გალავანში შევედი.

მსახურმა მიპასუხა, რომ ყოვლად სამღვდელო ანტონი ჩქარა გამობრძანდებოდა საღამოს ლოცვისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ მწუხრის ზარის ხმაც გაისმა. მე და ჩემი თანამგზავრი ეკლესიაში შევედით.

ვიცოდი არსებობდა ფერისცვალების მონასტერი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდე, რომ არა თუ არ მენახა, არამედ ისიც კი არ ვიცოდი, საით მდებარეობდა.

ძნელია მთლიანად გავუზიარო მკითხველს ის აღფრთოვანება, რაც მე იქ რამდენსამე წუთის განმავლობაში განვიცადე. ძველი ქართული მონასტერი, ქართველი წმ. მამანი, ქართული ლოცვა, ქართული გალობა...

წირვა-ლოცვის მოსმენა, აზრი საღმრთო სახარებისა არც ისე ადვილი გასაგებია, რომ ყოველს ენაზე შეიძლებოდეს ერთი და იგივე გრძნობა განიცადოს მსმენელმა. მღვდელ-მსახურებაში, გარდა სარწმუნოებრივი დოგმებისა, იმდენი ღრმა აზრია დაფარული, იმდენი ფილოსოფიაა, რომ იგი მხოლოდ მშობლიურის ენაზე შეიძლება ძლიერად მოხვდეს მსმენელის გულს და ისიც მაშინ, თუ მსმენელი მომზადებულია, ესმის აზრი იგავისა.

მაგრამ რაც უნდა ხეპრე იყოს ადამიანი, არის ისეთი ძალა, რომელიც გულის სიღრმეში ჩასწვდება, შეაკრთობს, გამოაფხიზლებს და... ჩააფიქრებს.

ეს ძალაა მუსიკა, გალობა, სულ ერთია—საეროა იგი, თუ საეკლესიო.

განუსაზღვრელი იყო ჩემი აღტაცება, როდესაც მონასტრის სკოლის მოწაფეებმა მშვენიერის მწყობრის ხმით დაიწყეს გალობა. ამ დროს იდუმალმა ძალამ ფრთა შემასხა, შორეულს წარსულში გადამაფრინა, თვალის წინ გადმომიშალა ძლევა-მოსილი მნიშვნელობა ძველის ქართულის ეკლესიისა და ჩამაფიქრა... ჩამაფიქრა და თან სასოებით აღმივსო გული, რომ ხმა მშობლიურს ენაზედ საღმრთო ღაღადებისა კვალად გაისმის მონასტრის ზღუდეთა შორის...

არ ვიცი წინად რას წარმოადგენდა ეს მონასტერი, მაგრამ დღეს მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ეჭვი არ არის იქ დამკვიდრებულია, სრული ერთსულოვნება და სიმარტივე. ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა ნამდვილი მშობლიურის ალერსით ეპყრობოდა პატარა მოწაფეებს, თვითვე ხელმძღვანელობდა საგალობლებს.

ეტყობა, ყოვლად სამღვდელოს ცოტა ღვაწლი არ მიუძღვის მონასტრის სკოლის საქმეში.

რამდენადაც უზომო იყო ჩემი სიამოვნება, იმდენად გული მომიკლა იმ გარემოებამ, რომ ეკლესიაში, გარდა მონასტრის ძმობისა და მოწაფეებისა არავინ ყოფილა. გარეშეთაგან მარტო მე და ჩემი თანამგზავრი ვიყავით.

სხვას რომ თავი დავანებოთ, რამდენს სიამოვნებას განიცდის ადამიანი ამ მშვენიერის გალობის მოსმენით და ნუ თუ ქართველი ისე კმაყოფილი და გალაღებულია ბედით, რომ იმის გულს წყლულის არსად აჩნევია და არ ესაჭიროება ერთის წუთით მაინც მალამო მოსცხოს და დაიამოს ეს წყლული მეთქი—ვფიქრობდი. უეჭველია, კვირა-უქმე დღეებში იქნება იქ ხალხი. სიამოვნების მეტს რას განიცდის ქართველი საზოგადოება, რომ კვირაობით მაინც წავიდეს ამ თავის ძველს მონასტერში, ღვთის მსახურებაც მოისმინოს და იქიდან თვალი გადაავლოს მთელს ქალაქს, ნახოს რანი ვყოფილვართ და რანი ვართ...

მეშვიდე საათი იყო, რომ ეკლესიიდან გამოვედი. ისე ავყევი ფიქრთა სრბოლას, რომ სრულიად გადამავიწყდა საგანი ჩემის იქ მისვლისა და, თუ ჩემს თანამგზავრს არ მოეგონებინა, პირდაპირ გალავნის ბჭისაკენ ვაპირებდი წასვლას.

ვნანობდი და ვნანობ, რომ დღემდე არ მენახა ეს მონასტერი...

**განდეგილი.**

5 სექტემბერი.

## ახალი ამბები.

ჩვენი დეპუტატები ძალიან დაფაცურდენ. ა. ჩხენკელმა და კ. ჩხეიძემ მოიარეს კარგი დიდი ნაწილი კავკასიისა. დეპ. გელოვანიც, რომელიც აქამდინ პეტერბურგში თავრიდის სასახლის გადაკეთების კომისიაში იყო მიწვეული, ახლა აპირებს მოსვლას ბაქოს იქაურ გაფიცვის შესახებ მასალის შესაკრებად. დეპუტატი შემდეგ საქართველოში მოვა და შეჰკრებს მასალას მოსალოდნელ შიმშილობის შესახებ. ამ მასალას წარუდგენს მთავარ-მინისტრს კოკოვცევს, რომელიც დაპირებულია, დახმარებას აღმოუჩენ მცხოვრებლებსო.

დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ დაჰკარგა საუკეთესო წევრები—სტუდენტები გიორგი გულბაანი და პახომ ხუნდაძე. ეს ახალგაზრდანი, როგორც თვით სათვისტომო გვაუწყებს, დიდ იმედს იძლეოდენ, რომ სასარგებლო მოღვაწეები გამოუვიდოდენ სამშობლო ქვეყანას.

ქ. ქუთაისში დააწესეს ახალი თანამდებობა ბეჭდვის საქმის ინსპექტორისა. ამ თანამდებობაზე გამწესეს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორად ნამყოფი ეგნატე ნიკიტის-ძე სუდაკოვი. ჯამაგირი ექნება წელიწადში 1. 200 მან. საკანცელარიოც 300 მან.

7 აგვისტოს ტფილისს ჩამოვიდა ჩვენი მწერალი იროდიონ ევდოშვილი. ზამთარს სოხუმის სანატორიუმში გაატარებს,

კავკასიას ესტუმრენ დირექტორი ვენის ინსტიტუტისა პროფ. იოსებ სტრიჟევსკი და რამდენიმე მოწაფე, რომელთაც მიზნად აქვთ შეისწავლონ ქართული და სომხური ხუროთ-მოძღვრება. სასურველია, ჩვენმა მცოდნეებმა ხელი შეუწყონ მათ ამ საქმეში. ამ ჟამად ისინი ერევნის გუბერნიაში არიან.

ამიერ კავკასიის გზაზე ჰმართავენ საციებცხელებო (სამალარიო) მოძრავ გამოფენას. ამ გამოფენის მიზანია გააცნოს როგორც რკინის გზის მოსამსახურენი, ისე ახლო-მახლო მცხოვრებელნი, თუ რას წარმოადგენენ კოღოები ანოფელეს, რომელთაც ციებ-ცხელების გავრცელების მიზეზად სთვლიან და როგორ უნდა ებრძოლონ ამ ავადმყოფობას. ვაგონი, სადაც მოწყობილია გამოფენა, უნდა პირველად გამოვიდეს ამ დღეებში ბათუმიდან.

გორის და თელავის მაზრაში აღმოუჩენიათ მთელი ბრბო ქურდებისა, რომელსაც მიზნად ჰქონია დასახული საქონლის მოპარვა. ამ ბრბოს ძალიან დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებლებისათვის.

ხმა დადის ბულგარეთს და ავსტრიას ფარული ხელ-შეკრულობა დაუდვიათ იმის შესახებ, თუ ვინიცობაა ავსტრია და რუსეთი შეეტაკნენ ერთმანეთს, ბულგარეთმა უნდა დაიპყროს დობრუჯა, ავსტრიამ კი მოლდავია.

დონის პოლიტეხნიკუმის (ნოვოჩერკასკშია) ერთმა სტუდენტმა ამიერ-კავკასიაში აღმოაჩინა ნიანგთა მთელი სასაფლაო. რამდენიმე ჩონჩხი შეუწირავს პოლიტეხნიკუმის მუზეუმისათვის.

კვირას, 8 სექტემბერს, ბეს. ქებურიამ შშვენივრად იფრინა თავის ჰაეროპლანით. ავიდა 400—500 მეტრის სიმაღლეზე. ჰაერში დაჰყო 17 წუთი.

**იაპონელმა ექიმმა ნოგუშიმ**, რომელიც ნიუ-იორკში როკფელერის ინსტიტუტში მუშაობს აღმოაჩინა სიცოფის მიკრობი. ეს აღმოჩენა უნდა გამოიკვლიოს პასტერის ინსტიტუტმა პარიზში. დიდი შედეგი ექნება ამ აღმოჩენას, როგორც ამბობენ მეცნიერნი.

9 ენკენისთვეს პეტერბურგში გარდაიცვალა ეგზარხოსი ინოკენტი.

წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება აპირებს სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების საწყობის გამართვას თავის სამკითხველოებთან სუფსაში, გუბში, წყალტუბოში და ბაღდადში.

ტყიბულსა და ქუთაისს შუა ამ ჟამად ბაქან „კურსებზე“ ჩერდება მატარებელი ერთი წუთით მხოლოდ ზაფხულში. ახლა შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მატარებელი მუდამ ჩერდებოდეს ამ ბაქანზე. თუ დააკმაყოფილეს ეს შუამდგომლობა, დიდი საქმე იქნება გარეშემო სოფლებისათვის.

ტფილისის ტრამვაის მუშების და მოსამსახურეების გაფიცვა დამთავრდა მათი გამარჯვებით.

### აუცილებელი განმარტება.

„თემის“ მე-№ 139-ში ბ. მათეს ფელეტონი იყო მოთავსებული ამ სათაურით: „ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“. ამ ფელეტონში ჩემის აზრით ერთი შეუსაბამობაა მოხსენებული. აი როგორ გადმოგვცემს ბ. მათე ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „აქ ახლო ამისთანა მშვენიერი წყალი არსად არის, დაფანტული მოვაგროვე ამ სიშორიდან, მთიდან წამოვიყვანე, თვითონვე სარგებლობენ და მილებს კი ამტვრევენ! **მოდი და ნუ აუკრძალავ აქედან წყლის ზიდვას**, მაგრამ მეც მაგათი ჭკუისა უნდა გავხდე?!“

სწორედ გასაკვირალია, როგორ უნდა წარმოეთქვა ეს სიტყვები ილიას, როდესაც მის წყაროდან წყლის ზიდვა არც ერთს გურამიანთ-კარელ მცხოვრებელს აზრად არ მოუვა. გურამიანთ-კარელები სარგებლობენ თავიანთ საკუთარის წყაროთი, რომელიც მემამულე სტაროსელსკის ეზოდან გამოდის. ჩემს იქ ყოფნაში ბევრს გამოვკითხე, ახალგაზრდას თუ მოხუცს, ამის თაობაზე და ყველამ ასე მიპასუხა: „რა ვიცით, იქნება გზად გამვლელმა, ან სასახლეში მომუშავემ დალიოს ის წყარო, ჩვენ კი საით მივუდგებით ამ სიშორეზეო.“ აი სინამდვილე ილიას წყაროს შესახებ.

**ლ. ცაგარელი.**

## ფ. მახარაძე და მისი „მცირე შენიშვნა“.

ჩვენმა წერილებმა უცნაური გავლენა იქონია ფ. მახარაძეზე...

ველარაფერი მოახერხა.

ჯერ იყო და ცილი დაგვწამა, რომ ჩემი „მოგზაურის“ კორესპონდენტს წერილი[?]ვარ დაუბეჭდეთო. როდესაც გადაჭრით გამოვაცხადე, რომ არც ეს კაცი, არც მისი ნაწერი თვალითაც არ მინახავს მეთქი, ფ. მახარაძე გაჩუმდა და ხმასაც არ იღებს, თითქო აქ არაფერიაო..

ჭეშმარიტების და სიმართლის მოყვარეობაც ამას ჰქვია, უთუოდ?!...

ეს ერთი.

მანვე ჰბრძანა თავის წინანდელ ჩემდამი მომართულ „მოკლე პასუხში“:

„გრ. დიასამიძემ ჩემ წერილს გამოაკლო **თითქმის ნახევარიო**.“

ახლა თქვენის თვალით იხილეთ, რამდენი სტრიქონი გამოვაკლეთ.



ფ. მახარაძის ხელნაწერი შეიცავს 146 სტრიქონს; აქედან ჩვენ გამოვაკლეთ მხოლოდ 20 სტრიქონი და კიდევ რამდენიმე სიტყვა. ნახევარი 146 სტრიქონისა იქნება 73. ახლა შეადარეთ 20—73 ს!.. მერე რა სიტყვები და რა სტრიქონებია გამოკლებული მისი წერილიდან? აი მათი ნუსხაც:

„უსირცხვილო, მამულიშვილების მხრით ჩემ წინააღმდეგ, საზიზღარი, პოლიტ.-ეკონომიის დოქტორი, ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის, წესი ავუგეთ (ეს ორი სიტყვა შევცვალეთ სიტყვით „გამხიდეთ“), როგორი ურცხვობით უარჰყოფს (შევცვალეთ—განა არ უარჰყოფს), მეორეც ისა, რომ..“

„ნუ თუ ეს არ ახსოვს „თემის“ რედაქტორს ბ.ნ. გრ. დიასამიძეს მე არ მჯერა ეს ერთი“ (ეს ფრაზა ასე შევცვალეთ: ნუ თუ ეს არ ახსოვს „თემს“?)

გამოვტოვეთ შემდეგი სტრიქონები:

„ან შეიძლება თქვენ ჰოტენტოტურ მორალს მისდევთ, ერთ მხარეს ყველაფრის ნებას აძლევთ და ყველაფერში ამართლებთ, მეორე მხარეს კი უფლებას ხდით და ყველაფერში ამტყუნებთ...“

„ყოველ შემთხვევაში უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არის განსაზღვრული საზოგადოების და მოწინავე პრესის ზნეობა!“...

„იმათი სრული ზნეობრივ—გონებრივი კოტრობა გამოვაშკარავეთ..“

ბოლოს გამოტოვებულია შემდეგი:

„ამიტომ გაჰყევით გატეხილი სჯობია: ჩვენ შორის საერთო არა არის რა. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ აზრს ჩვენ თქვენზე უკედ გაფასებთ და საზოგადოებრივი მსჯავრის წინაშე მუხლს ვიდრეკთ, მაგრამ ეს ჩვენი საზოგადოებაა და არა თქვენი, თქვენ აქ ხელი არა გაქვთ. ამ საზოგადოების პატივისცემა დაკარგეთ თქვენ მაშინ, როცა კამათის დროს გადასცდით იმ საზღვარს, სადაც კრიმინალური უფლების მოქმედება იწყება“.

ყოველი მიუდგომელი ადამიანი აქედან იმას დაასკვნის, რომ ჩვენ გამოვტოვეთ მხოლოდ ის, რაც არ შეესაბამება „თემის“ კილოსა, მის საერთო ტონს და რაც, წარმოადგენს ჩვენი რედაქციის ავად ხსენებას. მოყვანილის მაგვარ ადგილებს არ დაბეჭდავს **ნება-ყოფლობით** არც ერთი გაზეთი თავის წინააღმდეგ.

ფ. მახარაძეს თვითონაც უნდა სცოდნოდა ეს კარგად, რადგანაც რამდენიმე ხელმძღვანელობდა გაზეთს: „კვალს“ „მოგზაურს“ და ახლახან, „ჩვენ წყაროს“.

აი რა სიმართლის მოყვარულთან და რა ფაქიზ ეთიკის ჟურნალისტთან უნებლიედ მომიხდა საქმის დაჭერა...

ზემომოყვანილი კლიშე განგებ გავაკეთებინეთ, რომ ნათელ გვეყო ფ. მახარაძის სიმართლის მოყვარული პიროვნება მისიანისთვის და გარეშესათვისაც. ყველას უნდა ემცნოს ეს გარემოება და მათ შორის ბბ- ნოე ჟორდანიას, ნ. ელიავას და ევგ. გეგეჭკორსაც. ჩვენ ეს გზა ვამჯობინეთ. დაე ყველამ შეიტყოს, ზოგჯერ რა პირობებში გვიხდება წერა და ლაპარაკი.

ფ. მახარაძე ჩვენს შენიშვნას, რომ საკადრისი არ არის ლიტერატურული კამათის დროს წოდება უხსენო ადამიანს, რადგანაც ეს დასაგმობი საპოლემიკო ფანდია-თქო, ისე გაუბრაზებია, რომ ამ ძალოცვილს ვერც კი მოუფიქრებია, რომ ჩვენ ვამბობდით სწორედ იმას, რასაც ის ახლა გაიძახის: „ადამიანი საქმით დაფასდება და არა გვარიშვილობით“.

ფ. მახარაძე კითხულობს:

„როდის იყო, რომ თავ. გრ. დიასამიძეს პროტესტი განეცხადებინოს იმიტომ, რომ მას თავადი უწოდეს საზოგადო კრებაზე ან პრესაში?“ და ვერ მიმხვდარა, რომ მხოლოდ თვითონ იგია პირველი, რომელმაც მოგვიხსენია თავადად ლიტერატურულ კამათის დროს, რომ რა არის უფრო გაიადვილოს დემაგოგიურის ხერხით ჩვენთან ბრძოლა. აი რა ვუკიჟინეთ მას და ის კი მოჰყოლია რაღაც აბდა-უბდს...

მერე პროტესტი რომ განგვეცხადებინა კიდეც, განა პირველი მახარაძე არ გამოდგებოდა და არ დაიყვირებდა: „შეხედეთ, როგორ თვალთმაქცობს და თავს აწონებს ხალხსაო“.

ეჰ, განა შეუძლია მორიდებულ კაცს ყველაფერი ის წარმოიდგინოს, რასაც იტყვის ბოროტი ენა?!..

თუ არ ბოროტს ენას, სხვა რომელს შეეძლო ეთქვა:

„რა უფლებით ადარებთ თავს ალ. წულუკიძეს—ადამიანს, რომელმაც თავის სიცოცხლე მშრომელ ხალხს შესწირაო“ და სხვ.

განა ესეც დემაგოგია არ არის?!

ჩვენ ვამტკიცებდით, თუ ერთ თავადიშვილს შეუძლია შეითვისოს მშრომელი ხალხისათვის თავისდადება და სამსახური, რატომ ამის შეთვისება არ შეუძლია მეორეს; ერთის სიტყვით გვინდოდა ისვე გვეთქვა, რაც თვითონ ფ. მახარაძეს უთქვამს თავის „მცირე შენიშვნაში“, ე. ი. „ადამიანი საქმით დაფასდება და არა გვარიშვილობით“.

მაგრამ ფ. მახარაძემ განგებ გაიხსენა ალ. წულუკიძე, რომლის სახელი არც კი მოგვიყვანია, რომ შეუგნებელი მკითხველი როგორმე დაეჭირა თავის უწესო ანკესზე: „ხალხისათვის თავ-დადებულს წამოჰკრა ხელი თავადმა დიასამიძემაო“, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ფ. მახარაძეს აქაც უღალატა განზრახვამ. ვისაც უდევნებია თვალყური „თემისათვის“ და მისი ხელმძღვანელის საზოგადო და კერძო მოქმედებისათვის, ან კარგად იცის,

თანამოაზრეზე ნაკლებ თუ მეტად სცემს პატივს „თავადი დიასამიძე“ დაუვიწყარ ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას?

აი რას ნიშნავს სადემაგოგიო იარაღად ამხანაგის სახელის და ღვაწლის გამოყენება!..

ფ. მახარაძის შენიშვნის ბოლოს ხომ უფრო მსხვილი მარგალიტია!

ჩვენი „მოკამათე“ ისე დაბნეულა, რომ ჩვენი ირონია... „აზნაურო მახარაძე!“ ვერ გაუგია და სერიოზულად „ბაშპორტის“ წარმოდგენას აპირებს, გლეხი ვარო. ჩვენ კი ვიტყვით: მაშვრალთა წოდებისათვის, ღვთის წინაშე, უფრო სამჯობინარო იქნებოდა, რომ ეს ნუგბარი ისევ „კეთილშობილთა“ გუნდს ჰყოლოდა წევრად.

ჯერ-ჯერობით ეს კმარა, დანარჩენს კიდევ მივუძღვნით, თუ საჭიროდ დავინახავთ...

**გრიგოლ დიასამიძე.**

## საქართველოს ამბები.

**ახალ-სენაკი.** გასაკიცხავ დაბა-სოფლებს ვერც სენაკი მოშორდა ამდენ ხანს. თითქო სძინავსო-დაბა მიდუნებულია, მაჯის-ცემა შეუსუსტდა. თუ სიფხიზლე ეწვევა საჩქაროდ, საჩქაროდვე ჰქრება. სენაკი რაც უნდა იყოს ზუგდიდზე უფრო მოძრავ ქალაქად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ვაი რომ ვერც გზამ და ვერც მოძრაობამ ვერაფერი უშველა?!

ზუგდიდის სამკითხველოზე ისმის სამდურავი და მაშინ სენაკის სამკითხველოზე რაღა ვსთქვათ?

წიგნები ვითომ არის-მაგრამ ჟურნალ გაზეთების მხრით ძლიერ და ძლიერ ღარიბია. რომ შეხვალთ და ჟურნალ გაზეთებს გადაათვალიერებთ ზუგდიდის სამკითხველოში, გაოცდებით-იმდენ ჟურნალ გაზეთს ხვდებით შიგ მაშინ როცა სენაკში რაღაც ორიოდე ქართული გაზეთი მოდის და იმდენივე რუსული. ჟურნალიც ასეა. კიდევ გაგაოცებთ ასეთი სხვა და სხვაობა იმ მხრით, რომ ზუგდიდის სამკითხველოს შემოსავალი სენაკის შემოსავალთან სახსენებელიც არ არის და საწევრო ფულიც მეტია სენაკში გადასახდელი წევრთა რიცხვიც არაა ზუგდიდში სენაკისაზე მეტი. ასეთი განსხვავება კია. რით აიხსნება სამკითხველოს ასეთი სიღარიბე ჟურნალ გაზეთების მხრით ჩვენ ვერ გაგვიგია. წიგნები რაც არის, რუსულია. ქართული წიგნი და რიგიანი ძლივს მოიპოვება ორი-სამი.

ამ აგვისტოში სენაკს ეწვია მეგრელების გუნდი. მშვენივრად შეასრულეს პროგრამაში აღნიშნული სიმღერები. ხალხი მრავალი დაესწრო. ნასიამოვნები დარჩა ყველა. 30 აგვისტოს სცენის მოყვარე ახალგაზდებმა წარმოდგენა გამართეს, წარმოდგენილი იქნა 1)მე-5 მოქმ. „ყაჩაღებიდან“ და „არც აქეთ-არც იქით“, დასასრულ დივერტისმენტი. უნდოდათ „ტიმოთეს ლეღვი“ ეთამაშათ, მაგრამ ფარდამ ხელი შეუშალა. გადებული ჯოხი გატყდა, არც აიწია-არც დაიწია და იძულებული იყვნენ მოთამაშენი-წარმოდგენა მიეტოვებიათ ისე კარგად ჩაიარა. კარგი იქნება მეტ ყურადღებას მიაქცევდენ სცენის ტეხნიკურ მხარეს.

**ნარდონ.**

**სოფ. ტეზერი.** (ზემო ქართლი) 8 აგვისტოს შემთხვევით მოვხვდი სოფ. ტეზერში. ამ დღეს ღვთის მშობლობას დღესასწაულობენ. უნდა გამოვტყდე ის, რომ ქაღალდზე დაწერილი წამეკითხა, რაც მე ამ დღეობაზე ტეზერში ვნახე, სწორედ არ დავიჯერებდი და სიცრუეთ ჩავთვლიდი. ხალხი რამდენიმე ათასი იყო, ქალი და კაცი. ეკლესიის გალავანი გაევსოთ პატარა ხელად მოწყობილ დუქნებით. ჰყიდდენ საზამთროს, მსხალს, ვაშლს, ყურძენს, ლუდს, ხილეულობის წყალს, მეტ ნაწილს კონფეტები გამოეტანა გასაყიდად. ხალხი ჭიანჭველასავით მიჰსეოდა ამ ტკბილეულობას და თავიანთ ნაშრომ-ნაოფლარს ასე უსარგებლოდ ჰფანტავდა. იქვე წიგნებით ვაჭრობა გაემართა ვიღაც ჩარჩს. რა, უკაცრავად პასუხია, „ლიტერატურული“ ნაწარმოები გინდათ, რომ მას არა ჰქონოდა: „ჯიქი-ჯიქი“ „არ შეგცივდესთ, ბარიშნებო“, „ზამთრის ქუდი დაიხურე ბარაშკაჯან“, „სიზმრის ახსნა“ და სხვა მრავალი ასეთი ხელისხელ საგოგმანებელი ლიტერატურული მარგალიტები.—ესეც მრავლად საღდებოდა. ახლა ეკლესიის გალავანს გარედ არ იკითხავთ, რა ამბავი იყო? ირგვლივ სულ მოწყობილი იყო სამიკიტნოები. ხალხი ბუზივით ირეოდა. 7—8 არღანს, 15-მდე ზურნას, გარმონიებს და დაირას ყველას ერთად გაუდიოდათ საზარელი ღრიალი და ბაგა-ბუგი. ცეკვავდენ, თამაშობდენ. ჰაერში მტვერის ჯანყი იდგა. აქვე გაემართათ უბრალო ფიცრებისაგან მაგიდები, ზედ დაეყარათ ხორცი და პური მუშტრის მისატყუებლად. აქაც დიდი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ხალხი დაჰრეოდა ამ მტვერში ამოგანგლულ სანოვაგეს და შეექცეოდენ. ზედ, რასაკვირველია, აყოლებდენ ათასგვარ მავნე საშუალებით შეზავებულ ღვინოს და ამ გვარად თავიანთ თავს თვითონვე იწამლავდენ. ახალგაზრდები სცდილობდენ მეტი დაეხარჯათ, რომ შემდეგ დაეკვეხნათ, ერთს რაც არღნები იყო ყველა დაექირავებინა და ამ ნაირ დიდებით ეკლესიას გარს უვლიდა. მეორეს ზურნებისათვის მოეყარა თავი. მარა ეჰ, კმარა! რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ეს კია, რომ ამ დღეს საერთოდ ხარჯი იქნებოდა არა ნაკლებ 10000 მან. ამოდენა ხალხის გაცდენა კიდევ სხვაა. უყურებდი ამ უაზრობას და გული მიკვდებოდა. სოფელს ეშმაკები დაჰპატრონებოდენ.

ვინ არის გამკითხავი? სად არიან სულიერი მამები? სად არის სოფლის ინტელიგენცია? ამ გულის დამაღონებელ სურათს არც ინტელიგენცია აკლდა. საერთო ფერხულს არც ისინი ჩამორჩენოდენ. ერთი ზურნა მათაც ექირავნათ და დროებას ატარებდენ. ჩვენდა სამარცხვინოდ ორიოდე მასწავლებელიც ერია. და ეს ყოველივე ხდება მაშინ, როდესაც შიმშილი კარს მოგვდგომია, როდესაც ჩვენი კულტურული დაწესებულებანი უფულობით სულს ღაფავენ. აფსუს!...

**ხანდონიძე.**

## „თემის“ ფოსტა.

**ვ. გორგაძეს.** ლექსი „ჰანგი“ არ დაიბეჭდება.

**ქუთაისს. ერთ ჯგუფს მკითხველებისას.** 32 მკითხველების-მიერ ხელმოწერილ წერილს ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკის შესახებ ვერ დავბეჭდავთ სწორედ იმ მიზეზით, რომელსაც თქვენც იხსენიებთ, ე. ი. რადგანაც ამ საქმემ ყური გამოუყრუა მკითხველ საზოგადოებას. ჩვენის აზრით გაზეთები სცდებოდენ, რომ ორივე მხარეს უბეჭდავდენ წერილებს. დუმილი სჯობია. მაშინ ყველაფერი თვითონ მიწყნარდება. ამასვე ვურჩევთ ბიბლიოთეკის გამგეს—ქ.-ბ. შელ. ლორიას, რომლის შესახებ თქვენ ბრძანებთ, რომ წესიერად და სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას...

**ქუთაისს. მ. ვეშაპიძეს და ლ. ჩოჩიას.** თქვენ გვწერთ, რომ დარწმუნებული ხართ, ბ.ბ. პროტესტანტებს ფ. მახარაძის წერილის მეტი არა აქვთ წაკითხული და ამიტომ გვირჩევთ ილია ჭავჭავაძის „ნუ თუ?“-ს ხელ-ახლა დასტამბვას ჩვენს გამოცემაში. ჩვენც ძალიან კარგად გვესმის, რომ ბ. ბ. პროტესტანტებს არა აქვთ გათვალისწინებული მთლად ის მასალა, რომელიც შეეხება საგანს, მაგრამ ახლავე ამ სტატიას ვერ ვუშველით, როგორც მოგეხსენებათ, „თემის“ რედაქციამ განიზრახა ილიას, როგორც მემამულეს შესახებ, დასტამბოს წიგნი, სადაც, რაც საჭიროა ამ საკითხის გამოსარკვევად, ყველაფერი იქნება მოთავსებული. წიგნს ექნება სრულებით მიუდგომელი ხასიათი. პოლემიკას, კამათს რომელსამე პირთან, ან გამოცემასთან იმ წიგნში ადგილი არ ექნება. მაშინ ახლანდელი ურწმუნონიც დარწმუნდებიან, რამდენად ხელოვნურად იყო გამოწვეული ეს „ამხედრება“ ჩვენ წინაამდეგ...

**ქ. ფოთს. კალისტრატე ხელიძეს.** ხიზნობის შესახებ კანონპროექტი ვერას გიშველით. მიჰმართედ პირადათ ქ. სოხუმში საურთიერთო კრედიტის საზოგადოების (ბანკის) თავმჯდომარეს ნიკოლ. თავდგირიძეს. ის თანაგრძნობით მოეკიდება თქვენს საქმეს. ჩვენც მივწერთ ამის შესახებ მას...

**ბ. შეუპოვარ—დევნილს.** თქვენი წერილი, რომელიც ეხება „თემში“ დაბეჭდილ კორესპონდენციას ჩხარის ეკლესიის სიძველეთა შესახებ, ვერ დაიბეჭდება, რადგანაც წერილი დაწერილია შეუსაბამო კილოთი. კორესპონდენტის პიროვნების გამორკვევას და ავად ხსენებას თავი დაანებეთ და რაც გასასწორებელი დაინახოთ საჭიროდ მის კორესპონდენციაში, მოგვწერეთ დამშვიდებულის კილოთი და ჩვენც დავბეჭდავთ.

**რედაქტორი ს. მგალობლიშვილი.**
**გამომცემელი გრ. დიასამიძე.**


1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თ ე მ ი“ წელიწადი მესამე

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს.

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

თბილისის ქართული ფილარმ. საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან ყოველ დღე კვირა უქმის გარდა დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში, ყორღანოვის ქუჩა რჩეულიშვილის სახლი № 6.

სპეციალურ საგნებზე მ.სწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვარაკისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა. სკრიპკა: მ. ტ. ვასილევი. ვიოლონჩელი: ე. ნ. კოპელნიცკი. კონტრაბასი: მ. ი. ბერშოვი. სიმღერა, Solo: (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) ს. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა და ბროჯი. ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო, ჰარმონია და ენციკლოპედია: ზ. პ. ფალიაშვილი, ხოროს კლასსი: ზ. ი. ჩხიკვაძე.

ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზედ: ე. ი. პოლტარაცკისა და სკრიპკაზედ—ვ. მ. ბროდსკი.

სწავლის ფასი ღირს: ფორტეპიანოსი 65 მან. წელიწადში, სკრიპკის 65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მან. კონტრაბასი 50 მან. სიმღერა (Solo) 75 მან. თეორიის კლასსებში 15 მან. წელიწადში. სწავლის ფასი გადახდება ნახევარ-წლობით წინ-და-წინ. ხმების გასინჯვა, საეკლესიო გუნდში მისაღებად დანიშნულია, ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

პარაკლისი და სწავლის დაწყება დანიშნულია პირველ სექტემბერს შუადღის $12^1/_2$ საათზე.

5—5

სავაჭრო სკოლა (უფლებიანი)

და საბუჰგალტრო კურსები

ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა

მისაღები დრო: დილით 8 საათიდან—2 საათამდე. 1 თუმანიშვილის ქუჩა საკ. ს. № 13. საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე კურსებზე მიხეილის პრ. ს. № 53. საჭიროა კომერციულ ანგარიშის მასწავლებელი.

На курсахъ коммерческихъ знаній *Т. М. Филояча* учать по новому методу

Француз-, Нѣмец. и Англійск.

языкамъ свободно читать и говорить въ теченіе короткаго времени, путемъ теоретическихъ и практическихъ занятій. Подробныя свѣдѣнія и пріемъ въ канцеляріи курсовъ отъ 10—12 и отъ 4-7 ч. Михайловскій просп., № 24. Телефонъ № 976.

5—1

წიგნის მაღაზია

„ც ო დ ნ ა“

ს ო ს ი კ ო მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ი ს ა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნები. აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და მსახიობთა დიდი სურათები თითო ათი შაური: ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს.

მიიღება სელის მოწერა საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთ.

„სიმართლის ხმა“-ზე

გაზეთი გ.მოდის ყოველ დღე გარდა კვირა უქმეების შემდეგი დღეებისა.

გაზეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 7 მ. — კ. | 1 თვით | — მ. 90 კ. |
| 6 თვით | 4 მ. — კ. | ქუთაისში | — მ. 80 კ. |
| 3 თვით | 2 მ. 50 კ. | საზღვ.-გარ. 2-ჯერ მეტი ვიდრე ქუთ. | |

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი მიეცემა 60 კ., მოსწავლე ახალგაზდობას კი 50 კ. რედაქცია იმყოფება: დადიანის შესახვევი, სახლი გაბილიას, № 6. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Михайловская ул. Георгію Павловичу Сванидзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

სტამბა „სორაპანი“

ღებულობს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ასრულებს საქმეს სუფთად, სწრაფად და გასაოცრად იაფად.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის შენობაში.

ვაჭრობა-მრეწველობის განკარგულებაში მყოფი კომერციული ცოდნის კურსები

ტ. მ. ფილოიანისა.

თბილისი, მიხეილის პრ. ს. № 24—4. ტელ. № 976.

კურსებზე ორივე სქესის მსწავლე იღებს კომერციულ განათლებას. კურსის გათავების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. პრაქტიკული მეცადინეობა სწარმოებს კურსებზე შემდეგ სასწავლებელთა მიხედვით Pitman (ლონდონი), Pigiel (პარიზი), მოწყობილ Muster-Comtoir-ში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან არის აღებული. საგნები: I სავალდებულო: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო, საქარხნო და საფაბრიკო); 2) კომერციული არითმეტიკა, 3) პოლიტიკური ეკონომია, 4) კანონმდებლობის შესწავლა (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება), 5) კომერციული კორესპონდენცია, 6) არითმეტიკა სანგარიშოზე და 7) კალიგრაფია, ჩქარი წერა (ცუდი ხელის გასწორება), II არა სავალდებულო: 1) უცხო ენები, 2) სტენოგრაფია, 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) 4) კომერც. კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ცალკე პირთანაც.

არზები მიიღება: დილ. 10—2 საათ და 4—7 ს. საღ. მეცადინეობის დაწყება 15 ენკენისთვეს. პროგრამა და წესები ეგზავნება და ეძლევა მსურველთ უფასოდ კურსების ბინაზე. კურსები ურჩევენ ფირმებს ბუჰგალტრებს, მათ თანაშემწეებს და სხვა კომერც. მოსამსახურეებს იმ პირების რიცხვიდან, რომელთაც კურსი გაათავეს დირსეულად. მიმდინარე წელს კურსებზე იყო 284 მოწაფე, ამათ შორის 53 ქალი.

5—4

„თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართელის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

ხელოვნურად შეზავებული  ეამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადული წყლით.

ბემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი გ. მ (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. ექ.-ქ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე ა. ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$). მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირბდოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირბდოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12, თოკაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ს მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1 ფონდოევი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ბთენიბნცი ნ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$. თრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. ვ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამაზ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული.